

თეატრი და ცხოვრება

საყოველთაო სალიტერატურო ჟურნალი

კვირა 14 თებერვალი
№ 7—1916

ფასი
10 კ.

წელიწადი
მ ე ო თ ხ ე

მიიღება ხელის მოვრა 1916 წ. შტრ.
"თეატრი და ცხოვრება"
(წელიწადი მეოთხე. (იხ. მე-2 გვ.)



შიო მღვიმელი
საშვერდო მადეაწობის 30 წლის თავის
დასნიშნავად დღეს, 14 თებერვადს, სხა-
ზინო თეატრში დღესასწაულის გადახდის
გამო.

უკვე იბეჭდება
 ეკლესიის საჭირო და სასარგებლო წიგნი

რუსო სიზუსტით სრული ლექსიკონი

ანუ ქართულს ენაში შემოსულ უცხო სიტყვათა ახსნა-განმარტება

შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ

მეორეს შევსებულ-შესწორებული (პირველ გამოცემაზე ბევრად გადიდებული). წიგნში ახსნილ-განმარტებულია სამოც ათასამდე (60000), უცხო ენათა გან (ფრანგულ, ინგლისურ, ლათინურ და სხ.) შემოსული, სიტყვა და ანდაზა წიგნი შერაცხს ათას ექვსას სვეტამდე, მოზრდილი ზომისაა, აწყობილი იქნება ხალი კორპუსის მთავრული და ჩვეულებრივი ასოთი, ჩასმული ინგლისურ საუკეთესო კალენკორ ს ყდაში, მოოქოვილი-მოვარაყებულ ასო არშიებით შემკული. ვინც ისურვებს, წიგნზე დაიბეჭდება მისი სახელგვარის პირველი ასოები.

ხელისმომწერთათვის ვაგზავნით ღირს ორი (2) მანათი (ფულის გადახდა შეღავათითაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 1 მან., დანარჩენიც—წიგნი ამოსვლის უამს ახალ ხელისმომწერთათვის 2 მან 50 კპა.

ხელის მოწერა მიიღება: უფრ. "თეატრი და ცხოვრების" რედაქციაში „სორაპანი“ ა.ს. (სტამბაში). ფოსტით: Тифлисъ. Ред. „Театри да Цховреба“ И.с. Имедашвили.

1916 მიიღება ხელის მოწერა 1916

ყოველკვირეული სათეატრო, სალიტერატურო, სახელოვნო-სამხატვრო, საზოგადოებრივ შინაარის სურათებიანი უფრნალი იუმორისტული განყოფილებით, შარუებით და კარიკატურებით

წლიურად 5 მან.
 ნახ. ფლ. 3 მან.
 „**თეატრი და ცხოვრება**“
 წლიურად გამოცემისა შროთხე
 1916 წელსაც გამოვა

ჩვეულებრივი სრული პრატგრაფით, უკვე ცნობილი რედაქციით, სახელმოხვეტილ და ახალ-გაზრდა მწერალთა მონაწილეობით.

უფრნალი პარტიათა გარეშეა, პროგრესიული მიმართულების უფრნალში ხუთსასამდე სურათი დაიბეჭდება

ფასი: წლიურად ისევ 5 მ., ნახევ. წლით—3 მ. ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ხელის მოწერის დროს—2 მ. მასში—2 მ. ენკენისთვის 1 მ. ვინც მთელი წლის გადასახადს ამ თავითვე შემოიტანს, ამა ქრისტეშობისთვის ნომრებიც ვაგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში (მადათოვის კუჩბ. № 1, ეორონცოვის პატარა ხიდის ყურში, მუხრან-ბატონის სახ.) იოსებ იმედაშვილთან დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ფოსტით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“—И.с. Имедашвили.

ტელეფონი № 15—41. რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა



№ 7

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри და Цховრება“ I. Имядашвили.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საპრობისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტორაში—ღილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

წელიწადი
მ ი ო თ ხ ე

№ 7

კ ბ ი რ ა, 14 თებერვალი

1916 წ.

14 თებერვალი

მორიგი მოწინავე წერილი „მძიმე ხარკი“ ამ ნომერში ვერ იბეჭდება.

სცენა და მისი დამახინჯება

ამ უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენი მწერლობა წინ წავიდა. გაჩნდნენ სხვა და სხვა დარგის მწერლები. ეს სასიამოვნო მოვლენაა, მაგრამ ყველაფერს კარგს, დროებით მიანც, თან სდევს ცუდიც. იუმორისტიულ აღმანახებსა და ჟურნალებში ხშირად იბეჭდება სცენები სოფლის ცხოვრებიდან. ამ სცენების უმეტესობას აწერია „გურული სცენა“. ვინ არ იცის, რომ ყველა სცენაში მოკლედ და სხარტად უნდა იხატებოდეს ნამდვილი ცხოვრება. სცენის დამწერი და სცენიდან სცენის წამკითხველი მარტო იმას კი არ უნდა ცდილობდეს, წამკითხველი ან მსმენელი გააცინოს—გაართოს. მან ამისათვის სცენაში არასოდეს არ უნდა იხმაროს უმართებულო, უწმინდური სიტყვა, მეტადრე უნდა ცდილობდეს სოფლისა და მისი ჭირ-ვარამ-ლხინიდან სინამდვილე ამოგლიჯოს, შიგ არავითარი სიყალბე, ზედ მეტი არაფერი გაუჩიოს.

სამწუხაროდ ჩვენებური სცენების დამწერ-წამკითხველთა დიდი უმეტესობა ყოველთვის აპარბებს. ისინი ცდილობენ სცენაში ისეთი სიტყვები იხმარონ, რომლითაც გამოიწვევენ ორ აზროვან სიცილს. სცენების

უმეტესობა ცხოვრების სინამდვილიდან, მისი დედა გულიდან არ არის ამოგლეჯილი. ამ მხრივ ყველაზე მეტ წამებას განიცდის ე. წ. გურული სცენა. ახლანდელ გურულ სცენებში არც გურული ახლანდელი კილოკავია დაცული და არც გურიის მცხოვრებთა ცხოვრება გამოხატული. წავიდა ის დრო, როცა გურულები სხაპასხუბით და განსხვავებული კილოკავით ლაპარაკობდნენ. თანამედროვე გურული ქალი და კაცი ლაპარაკობს ლიტერატურული ენით, თუ შეიძლება სალიტერატურო ენა უწოდოთ იმ ენას, რა ენითაც დღევანდელი ქართული ჟურნალ-გაზეთების მწერლები გვიწერენ. გურული სცენის ავტორები ამას ანგარიშს არ უწევენ, ისინი დრომოქმულ სიტყვებს ხმარობენ და იმასაც საშინლად ამახინჯებენ...

ბეჭდვითი სიტყვის მსახურთ მეტი სიფრთხილე ჰმართებთ, რომ განგებ დამახინჯებით არაფერი დაბეჭდონ, რათა მომავალი მკვლევარ-მეცნიერი, თუ იგი ასეთ კილოკავების შესწავლაზე დაამყარებს თავის აზრს, არ შესცდეს და ყალბი დასკვნა არ გამოიტანოს.

აპ. წ—ძე

ობოლი მომტერალი

შიო მღვიმელი *)

აზიან აღამიანები, რომლებიც ქვეყნის სიყვარულს, თანამოქმეთა სამსახურის რწმენას მუ-

*) ცნობები ამოღებულია „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი“-დან (ხენაწერიდან).

დამ გულთ ატარებენ, კაცთა მომავალ ბედნიერებას შესტრფიან, სხვათათვის გულს ეკაღს ასობენ, მაგრამ სძირად თვით ივინი, განაზირებულნი, შწარე ცხოვრებას ანიცდიან...

ერთი ასეთი ადამიანთაგანია ჩვენი ობოლი მომღერალი, ბავშვთა სულის მესაიდუმლოე შიო მღვიმელი, რომლის 30 წ. სამწერლო მოღვაწეობის გადახდა—ბევრი დავიდარბის შემდეგ—სადღეისოდან განსრახული...

ობოლია იგი თვისი შემოქმედებით, სამწერლო დარგით, კერძო ცხოვრებით და მდგომარეობით... ცხოვრებამ სიუჩმიდანვე უდღინაცვლა, ბედი არა ერთ გზის ეშუხთლა და ფეხი ვერ შიიკიდა... მიუხედავად ამისა, იგი, როგორც გაუტყუელს ქართულს შექუერის, მწერლობაში გაუტყუელი და წარბ-შეუხედაია...

შიო სოფელი დარბი მდღღღის ილარიონის შვილია, გვარად ქუჩუკაშვილი, დაბადა ს. ბრეთს, გორის მაზ. 1868 წ. ყველიერის ხუთშაბათს. ექვს წლამდე სახლში იზრდებოდა, ს. ვარკიანში; შვიდი წლისა უფროსმა ძმამ მიაბარა სოფ. შიღღის სკოლაში, სადაც პატარა შიო სოფელე გლეხებთან ერთად 2 წ. სწავლობდა. 1881 წ. სადაკგროდ ამზადებდენ, მაგრამ ერთი მასლობელის (შიო დავითაშვილის) რჩევით გორის სასტატო სემინარიაში შევიდა. შიომ აქ ბევრი გაჭირვება გამოარა. რადგან სძილო ადგილი არა ჰქონდა, სამზარეულოში მოათავსეს, ხან საწვადმეოფოში იარებოდა, სამაგიეროდ კარკის ამხანაგებში (ვარჯა, თელო და ბანანა და სხ.) მოექცა; სწავლა გაათავა 1887 წ. მამით დარბელებმა შიომ, ადრე იგონო რბობის სიმწარე და ცხოვრების სასრის მსახუბებლად ზრუნვას შეუდგა. 1887 წ. თბილისს ჩამოვიდა და ქ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მდღღღში ჩადგა, რომელსაც 1909 წლამდე განაგებდა. მდღღღში ჩამდგარი შიო თვითგანვითარებას შეუდგა. თუშტა სიღარიბემ, ბედუკუდმართმა ცხოვრებამ „გული შხამით და ბოლოით აუესო“, მაინც სულით არ დამბუნდა, გონებრივად განვითარდა (უმთავრესად ჩვენთა მწერალთა—აკაკის, ილიას, რ. ერისთავის, ვარჯას და სხ. ნაწერებით), რაც სკოლამ არ მისცა, თითონ მოაზრვა და გონების თვალახედილმა დაინახა, რომ მოქმეთა სკეტილდელოდ ხატირო იყო ცხოვრების ეკაღნარის მოსპობა:

...„ეკალო, თუ აქამდისინ გთიბავდი ნამეალითა და ცელითა, ეხლა კი უნდა მოგთხარო შიგ ძირში ჩემის ხელითა... და შენს ალღავს დავთესო იონჯა—ტურთა ბალახი, რომ მის ბიბინით სტკებოდეს თვით უსულდემულო სალახი!“—

ამ მიზნის აღსარულებლად კალამი აიღო და „ქვეყანას სათლოდ დაენთო“, რომ „მონაწილე ქმნილიყო სამშობლოს ბედის წერისა“...

პირველი ლექსი დაბეჭდა 1885 წ. ივ. მახაბდის გაზ. „დროება“-ში. ამის შემდეგ შეუჩერებელი სწერდა განსაკუთრებით საბავშო ლექსებს „ჯეჯილიში“, „ნაკადულში“ და სხ. გამოცემებში. იგი დირსულებლად ცნობილია საბავშო მწერლად, ბავშვთა სულის მესაიდუმლედ. შიოს ბავშვების წრე—უშეტეს დარბ-დატაკათა უბნებია, შინაარსი—მათი ყოფა-ცხოვრება და ცხოველ-ფრინველთა სამეფო—კატა, მურია, მელია, ინდოური, ოფოფი, მოლაღური, მწერები და სხ., ხოლო თუ ხანდისხან სრასასხელეთა ბავშვებს ადგეწერს—უფრო იმიტომ, რომ საზოგადოებრივ უსამართლობაზე მიგვითითოს... უფელი მისი ლექსი აღმზრდელობითი ხასიათისაა, მკითხველს გულში უჩერკავს სიკეთის, გმირობის, უხადო სიუფარდის, პატრონების, მეკობრობისა და სხვა ასეთ კეთილშობილურ გრძობებს.

შიომ განსაკუთრებით მოზარდი თარბის სულიერი მოთხროვნილება იცის და მათი შესაფერი კილოთიც სწერს, რომ მათში მოქალაქეობრივ-საზოგადოებრივი და მამულიშვილური მისწრაფებანი გაადვიოს...

მართალია, შიო სამართლიანად საბავშო მწერლადან ცნობილი, მაგრამ მისი მუზა ჩვენის ცხოვრების სხვა მხარესაც დასტრიალებს თავს...

იგი ჰხედავს, რომ ჩვენს ირგვლივ ყოველივე წინსვლაშია, ხოლო ჩვენი ერის ერთი ნაწილი, თავად-აზნაურობა კი, ასეც ცხოვრებასთან შეკუების მაგიერ გადაგვარება-დაღუპვის გზას დასდგომია, თითქო თანამედროვე ვითარებათა დედა აზრი ვერ გაგოს, და ეუბნება:

„დრო ძვირალა ჰლირს, ნუ ჰკარავი, დაუხმე გონს და კკუსაა...“

ბუდოკლათობას, უზრუნველობას, ქეიფ-
ლხინებით კართობას, მეფანგაობას, სხვისი ნა-
შრომით ცხოვრებას უგმობს და შრომისაკენ მო-
უწოდებს:

„მო, ჩემთან ოფლი დაღვარე,
ლუკმა შექამე შრომითა!“-ო.

აგონებს, რომ ღრთება შეიცვალა, ძვე-
ლად თუ:

...„მტრის მოსაგერებლად
მხოლოდ ფარხმალი დგებოდა,
დღეს სულ სხვა არის: ცხოვრება
ითხოვს სხვა ძალს და ღონესა...“

დრო ჩარხი არის, უფრო კი
ჰგავს გახურებულ თონესა:
თუ პური დროზე დააკარ,
მაშინ ნამცხვარი შენია,
თუ არა—მასაც წაგართმენ,
თუ რამე გადაგრჩენია.“-ო.

შიო კერძო წოდებნიობაზე უფრო ზევით
მიდის და მამულისაც შემღერის. მან იცის, რომ
ჩვენს სამშობლოს

„თავს გრგვინვით ელვა-ქუხილმა
ათასჯერ გადაუარა...“

ყველამ უმტყუნა, უმუხთლა,
ვინც სამზოდ დაეზიარა!..“

და კავკასიის ფრიალო კლდეზე მიჯაჭვულს
უოკნები ნისკარტ-ბრჭყალებით სისხლში უზე-
რთან ამაუ კულს, „მაინც არ ჰკარგავს იმედსა“
და სწამს, რომ მისმა სამშობლომ „გაძლდება
იცის ქირისა!“ თუმც დღეს ბებერ მუსხისაგან
განმარტობით სდგას, ტრტებ ჩამმტვრეული,
„ყლორტები იბარტყვენ, დაიზრდებიან, ქალა-
ტყედ გარშემო დაედებიან და კვლავ აჰყავ-
დება სიცოცხლე მის შორის ედემურადა!..“

შიოს შესვდულობით, თუ ადამიანი თვისი
ქვეყნის, საზოგადოებისა და ხალხის სასარგებ-
ლოდ არ მუშაობს, იგი

„სოცხალი მკვდარი, ბილწი და უმეცარია!“

კაცი უნდა შეუდრეკედი იყოს, ეოგელი სი-
დუსტინის მხნედ ამტანი, მანად ჟამს მოძმეთა
საკეთილდღეოდ მზრუნველი, მამულის მოყვარუ-
ლი, წინმსუდღეო, და

„ვიი მის, ვისაც ალაჩრებს
სიცოცხლით წუთისოფელი
ალარც დედა სწამს, არც მამა,

არც მიწა-წყალი მშობელი,
დადის და დაეხირება,
გვარტომის უარ-მყოფელი,
მზეც კი მას ზიზღით უყურებს,
მზე—ქვეყნის მანათობელი.“

შიო ჰხედავს, რომ ხალხი სწავს სისხლის
ლუკმასა, ცხოვრება მადლიანად არ არის მო-
მართული! უნდა მოისმოს ეს უსამართლობა გრუ-
ლი, დაიბრუნოს ეგეგანს კეთილი, რომ „ქვეყანა
წალმა ბრუნავდეს“.

განა ქვეყნის წალმა ასაბრუნებლად სა-
ჭიროა მოქმედება..

მას სძაგს უმოქმედო, უმჯანსი და ქვეყ-
ნის უსარგებლო ადამიანები. ხალხ ვინც ქვეყ-
ნისა და ხალხის წინაშე თავისი ვალო მოიხადა,
იგი მკვდათა შორის არ ჩათვლება, სატირელი
არ არის, არამედ

„სოცხალი უნდა ვიტყვით,
ვინც ჩვენთვის დღესვე მკვდარია!..“

ასეთია ერთის თავლის გადავლებით შიო
მღვიმელის შემოქმედება, მისი მწერლობის დედა
აზრი. ეს კი იმანდა დირს, რომ ერთმა მადლობა
გადაუხადოს. მას გაგვრცელოთ შიოს შემოქმე-
დების ნაყოფი,

„რომ მის ბიზინით სტკებოდეს
თვით უსულდგმულო სალახი!“*)

იოსებ არიმათიელი



*) ჩვენს საბავშვო მწირო მწერლობაში თითქმის
პირველად შიოს ნაწერები გამოიცა ცალკე წიგნაკებად,
განსვენებულ გრ. ტატიშვილის (1859—1911) მიერ
დასურათებული. ეს წიგნაკებია: „ცვარი“, თბ. 1891 წ.
„სამი ცელქი“, თბ. 1891 წ., „ძუნწი“, თბ. 1891
წ., „ოქროს თავთავი“, თბ. 1892 წ., „ნატვრა“ და
სხ. მისი ნაწერების სრული კრებულის გამოცემა ქუ-
თათურ ერთ გამომცემელს აქვს განზრახული. შიო
მღვიმელისა და, საერთოდ ჩვენი, მწერლობის დღესას-
წაულის გვირგვინი იქნებოდა, რომ მისი ნაწერები
ორ წიგნად მაინც (საბავშვო და მოზრდილთათვის)—
ჩქარა გამოეცათ. ი—თიფლი



პორუჩ. წიოსებ (სოსო) ნაცვლიშვილი
ოსმალეთის ბრძოლაში მოკლული 29 ქრისტეშობის-
თვეს 1915 წ.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

(გურჩიის ცხვრებიდან)

(დასურათბებული ლ. გულიაშვილის მიერ)

დასავლეთისკენ გადახრილი ივლისის მცხუნვარე მზე, უკანიდან მოფარებოდა ლამაზ ეზოში მომადლოდ წამოდგმულ პატარა ფიცრულ ოდას, რომლის ჩრდილში ორი პაწია, ნახევრად ტიტველი და-ძმა, გულო და გოგი თამაშობდნენ, ხოლო მათი ახალგაზდა დედა პისტი კი სახლის აივნიდან სტკებოდა შვილების ცქერით.

— ვაი, თქვენს დედას, შვილებო, თქვენ უდარდელად თამაშობთ, მეც თქვენი ცქერით ვსტკებები და თქვენი საბრალო მამა კი, ვინ იცის, ეხლა რა გასაქირშია, რას ურჩევნია ერთი თქვენი ნახვა! — ფიქრობდა პისტი: ვაი თუ დაჭრილია ბრძოლის ველზე, შველას თხოულობს და მშველელი არავინ არის... თვეზე მეტია წერილი არ მიმიღია... უთუოთ კაი ამბავი არ არის ჩემს თავზე, — გაიფიქრა მან და ცისფერი თვალები ცრემლებით ავესო. — ოხ... რა ვქნა მე უბედურმა?... — მიძივდ ამოიოხრა და ზეზე წამოდგა სახლში შესასვლელად. სწორედ ამ დროს ეზოს კიშკრიდან ნაცნობი ხმა მოესმა:

— გულოო!.. გოგოი!.. ბავშვებმა კიშკრისკენ მიიხედეს.

— დედა! მამა!.. — წამოიძახა გახარებულმა გულომ და ახალმოსულისაკენ გაქანდა...

— მამა... მუა... პუბუ... — ბაჯბაჯით გამოუდგა მას გოგი, მარა ჩქარა წაიქცა და ტირილი მორთო. ერთი წამი კიდევ და ჯარის კაცი ვანო შრომისაშვილი გულში იკრავდა დიდიხნის უნახავ საყვარელ ცოლშვილს.

ვანოს მშობლებმაც, გრიგოლ და მართამაც, მალე გაიგეს შვილის მოსვლა და მეტის მეტი სიხარულისაგან ტირილი მორთეს.

— გმადლობ შენ ღმერთო... თუ გნახავდი, აღარ მეგონა, შვილო... იცრემლებოდა გრიგოლ.

— ფონი გასაველს დავლოცოთ, მამა ჩემო, ძალდატანებული ღიმილით სთქვა ვანომ.

— როვა, კიდევ უნდა წახვიდე, შვილო? — თვალების წმენდით იკითხა მართამ და სამივე ვანოს მიაჩერდა.

— აბა ჯერ რა გავაკეთეთ... ომი ეხლა იწყება... — მიუგო ვანომ.

— ვაი ჩვენს დღეს... — თითქმის სამივემ ერთად წამოიძახეს.

— შვილო, რეიზა ღუბავენ ამ ხალხს, თუ იცი?... რა ამბავია ავი... რას მივესწარი... სთვქა გრიგოლმა.

— საწყალ ქიშვარდიეს ბიჭს რეიზა ვერ მიეხმარენ დოხტურებმა, აი საცოდავობა რომ დატრიალდა და თელი სოფელი დავცოდვილით? — ჰკითხა შვილს მართამ.

— როგორ, ყაისარე მოკლეს? — იკითხა წყენით ვანომ.

— მოკლეს კარა, დაუწვავენ, შვილო... ხოლიარე დამართია და დაუწვავენ... შეიტყო აი საწყალმა მისმა ახალ მოყვანილმა ცოლმა, ჩავარდა ქაში და თავი დაირჩო... ქე დეილუბა ასე ორი მოსახლე კაცი. მის მეტი არც ქიშვარდიას ყავს რამე და არც ქალის დედამამას. იგენის ცოდვამ აადულა თელი სოფელი.. დღეის სტორს დამარხეს. — სთქვა მართამ.

— საწყალი!.. რა ბიჭი დაღუპულა!.. ჯერ სადაა, თქვენ რომ იცოდეთ იქ რა ამბებია... მარა დავანებოთ მაგაზე ლაპარაკს თავი... შინაური ამბები მითხარით, ნათესავეებში ხომ არავინ მომკვდარა?... ჩემი მტრედები ჩემს შემდეგ გაზდილან... მამაჩემს წვერი უფრო გასთეთრებია... დედა, ჯერ ყოჩაღათაა...

ელერსებოდა ვანო ხან ერთს ხან მეორეს.
 — ეხ, ნეტავი სულ არ ჩამოვსულიყავი...
 მარა ველარ მოვითმინე... ხვალვე უნდა წა-
 ვიდე... ერთ კვირას მაინც შემეძლოს დარ-
 ჩენა.

— როგორ ხვალ?—ელდა ეცა პისტის.

—ხვალ მამა?—წყენით იკითხა გულომაც,
 რომელიც ამ დროს მამას მუხლზე ეჯდა.

— ხვალ, შვილო, ხვალ.—წყენით გაიმე-
 ორა ვანომ და გულოს მუხლზე აკოცა. პის-
 ტი კი აცრემლებული წავიდა სახლში საკმე-
 ლის დასამზადებლად.

(გაგრძელება იქნება)

ს. რემონიძე

ბ. ახოსიკრალი და მისი სიგელი

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 6)

„ისმინე ყრმაო, გწამდეს, გჯეროდეს, არარა-
 ობა არის ყოველი,
 „არარად ქმნილა ქვეშ დედამიწა, და ზევით
 ზეცა სხივთა-მთოველი“.

ასე სახაყს ადამიანს, და ყოველჯგვარ ღირე-
 ბულებს მოკლებულად აღიარებს მას ფილოსოფი-
 ური თვალთსაზრისით.

„თუნდა იცოცხლოს კაცობრიობამ
 „რისთვის იცოცხლოს? სად, ვის რა არგოს“?..

და კატეგორიულად გადაჭრილ ზასუს იძ-
 ლეგვა?—არა. ბ. ახოსიკრალი კითხვების დასმა
 იცის. და ხშირად იქ, სადაც ახოსიკრალი სჯამს
 ფილოსოფიურ კითხვებს, იქ იგი მხატვრულად
 გაჩუბებულია, იქ ის გაურბის რაიმე გვარ მტკი-
 ცებს. მან იცის მსოფლიდ ის სფინქსისებრ გა-
 უგებარი კითხვა „რისთვის“, რომელიც მას მო-
 სვენებს ან აძლევს. ეს ის კითხვაა, რომლის
 წინაც ადამიანის აზრი იეინება, ეს ის კითხვაა,
 რომელიც აბრუნებს ისტორიას კაცობრიობის აზ-
 რფრებისას, ეს ის კითხვაა, რომელმაც, ვიმე-
 რებ, შექმნა მთელი ფილოსოფიური სისტემები,
 უარყოფა ცხოვრების, არ მიღება სამყაროს. უკ-
 ვირდება ახოსიკრალი სხვა და სხვა მოვლენათ,
 მაგ. სიუვარულს, რომელიც ღერძია კაცობრიო-
 ბის ცხოვრებისა (სახეში მკვეს სქესობრივი სი-
 უვარული), იმ სიუვარულს, რომელმაც თავისი ზე-
 ბუნებრივი ძალით შექმნა მშვენიერი ჯიოკონ-
 და, ღმერთ-ქმნილი ბეატრიჩე, ტურფა ვენერა,



დარო რჩეულოვი

25 წ. სცენაზე მუშაკობის შესრულების გამო 16 თებ.
 ავლაბარ-პალასის თეატრში სცენის მოყვარენი წარმო-
 დგენას უმართავენ.

ელდინთ ძლიერი და ნაზ სულის გამომსატე-
 ლი; წმიდა გრძნობის წმიდა ჩქერში განბანილი
 და ხატ-ქმნილი ნესტანი და სს. მრავალნი? მა-
 გრამ აბა უური დაუგდით ახოსიკრალს, თუ რას
 იძახის იგი ამ გრძნობაზე, რომელიც უმადლეს
 საფეხურზე დააყენა კაცობრიობამ:

.....„სიყვარულს სახავთ უმაღლეს განძად
 ზღვის ხატად აგყავთ უმანკოება,
 „მაგრამ რა არის თვით სიყვარული,
 „თუ არა ოდენ ამაოება?.....“

აი ის მთელი ფილოსოფიური მსოფლ-მსე-
 დველობა ბ. ახოსიკრალისა, რომელიც დამაზა-
 და აქვს ჩამოსხმული დრამატიულ ზოგმა „მშვე-
 ნება და სიყვარულში“. მაგრამ ბეკლარ ახოს-
 შირელი ფილოსოფიურ ტრაქტატს კი არ გვად-
 ლევს თავის შემოქმედებაში, არა. და არც შეუ-
 ძლია, რადგან ის ზოგია. მსოფლიდ განყენებუ-
 ლად მან მდერა არ შეუძლიან. და რომ უმდე-
 როს კიდევ აბსტრაქციას, თუ შესძლებს განყე-
 ნებულ საგანთა ტრფიალ-სიმდერას, მაშინ ხომ ის
 სწვევტს კავშირს ცხოვრებასთან, ყოველდღიუ-
 რბასთან. მაშინ ხომ მისი შემოქმედება უსარ-
 კებლად აბსტრაქციად გადრეკილება? და ხომ ადარც
 მგოსანი იქმნება, მგოსანი საღხის შვილი? ბ.
 ახოსიკრალი კი აქ, ცხოვრებასთან მაგრად არის
 მიჯაჭვული. ის ღვიძლი შვილია იმ დროის,
 რომელსაც მოხვდა თავის შვილთა გულიდანვე
 ამოხეთქილი ქარ-ტყვილი, და რომელმაც გააკვა
 და საომრად გაამზადა თავისი შვილები. ბ. ახოს-
 შირელიც ასეთი ზოგია. დრუბულთ არე-დარე-
 ვის დროს წარმოიშვა იგი, და იწყო მზადება იმ

ნიადგრისთვის, რომელიც წაღვედა ქვენი ბოროტების, და მთავრად ცხოვრებას განსეტყუებულ ბრწინვად განიყრახის შესხვედრად. ის მაგრად არის განიყრული ამაჲ მებრძოლო ბირველ რიგში, აუშართია თავისი რწმენის აღაში, რომელზედაც უწერია: „მე ხალხთ უფლებების მდროშე ვარ ცეცხლში გზნებულო“, სტუმს ბუკს და ნადასს ხალხის გამოსაფხიზლებლად, აკვინს-აწკრიბებს ქნარს და დამდრის უტრემლოდ ბრძოლის ჭანგებს. შეიძლება მკითხველმა სთქვას: ანაწიერი ცხოვრებას არ იღებს, ის უარ-ჭეოფს ყველას და ყოველს და ესაა კი ხალხის უფლებების მდროშედ გამოდის ცხოვრების განსუშკობესებლად, ასუფავებლად. მაგრამ აქ ანაწიერი პანათაშვილივით სჭკრის საკითხს:

„მაგრამ რადგანაც კაცნი ვართ და შეიღნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსილოთ მას, გვემას მშობლისა“.

და პანათაშვილსავით დაძახს: „რაა სიცოცხლე, თუ უმნიშვნელო ვითა პებელა, იფრენს, გაჰქრებაო“.

ამით მან ხალხი სამოქმედოთ გამოიწვია, ის ხალხი, რომელსაც „გულს უღადრავს სეველა, ქირი, ცხარე კრემლებს აფრქვევინებს ტანჯვა, კვენსა, ვასაქირი“. დაიდა, ესა სურს ანაწიერი, და აკი მიმართავს კიდევ თავის მუხას, რომ რადესაც გაისმის ხმა გულშესახარის ქარ-ტეხილის, რადესაც ცის კამარსაჲ არეულ დრუბელთ შორის გამოხინდენ ობოლი ვარსკვლავნი, რომელნიც ვაით ანობენ გზას სჯოჯოხეთოს, „მაშინ მეწვიე ზე-შთაგონებაჲ, სეველიან სახით გამომეცხადეო“. ეს კი იმისთვის რომ, მას სურს „მისი საზარო ჩანგისა ჟღერა“, როგორც ის იძახის:

„მსურს გულს უბობდეს ქვას, კლდეს და ღრესა, მინდა ცხოვრებას წილში ჩავწვდე, რომ ჩემს მღერაში ისმოდეს კვენსა“-ო.

სურს გული გაუბოს თავისი უტრემლო სიმღერით ქვას, კლდესა და ღრესა, ე. ი. თვით უსულო საგანნიც კი სურს აამეტყველოს და აგმობინოს არსებულთა როგორც მახინჯი რამ. ეს კი იმისთვის, რომ მას ეს ცხოვრება ეზარება, არ იღებს მას, ვერ ეტყუება. და ან როგორ

შეუტიგდეს; რადესაც თვით ცხოვრება მას ხელსა ჭკრავს. ის ხომ სიმ ქვად არ გადაქცევა, რომ იღვას უძრავად, უხმოდ. მის აქვს თავისი აზრგობნობა, იგი შესაიდუმლოა ჩაგრულთ ნაწილის, იგი მდროშაა ხალხის, მდროშე ცეცხლში გზნებულო, და როგორც ასეთს, სურს „გაცამტვერდეს რაც ძველია, დახავსებული“. სურს უკუღმადატრიალებულ ცხოვრების ჩანჩს წაღმას უბრუნოს პირი, რადგან იგი უკუღმართი აღმოჩნდა: „არისხვა ჩემს თავს, მე სოფელი უკუღმართი არ მეგონა-ო.

მაგრამ, დაინახა რომ „ვავლახია სიკვდილი და სიცოცხლეცა“, მიისურჭა შებრძოლებოდა ამ ცხოვრების სივარჯასეს, და ამისთვის მიმართა მან ბრძოლის ისრაი. ის მიმართა ჩაგრულს, რომელიც უფველთვის პირუტყვევლად სცხოვრობს სხვისთვის და არადეს განიცდის შეებასა და სახარულს, და ჭკითხს: „რალადა ხარ გაჩენილი“? და ურჩია: „მოიფიქრე რაებს სხადი, სულ მთის ძირას რას დაკოცავ, დაჰკა ფეხი, მაღლა აღიო“. ბ. ანაწიერი ხელავს, რომ იანა ხალხის მტანჯავი და აუტანელია, მწვავე და ძლიერა. ამისთვის ის მის დრეებით გაუუჩებასა სცდილობს. სურს დრეებით მიამინოს სიმწვავე იარის, და ამისთვის უმდერს ნანას, რომ ტანჯულმა ამ ნანას ნაზ მელდებებში აქარვოს სიმძაფრე უფველდოურობისა, სიმწარე ცხოვრებისა, და აკი უმდერის:

„შენც დაიძინე, მე გეტყვი ნანას, შენც დაიძინე, დახუტე თვალი“-ო.

და განაგრძობს: „ტკბილი იქნება ჩემი ნანინა, ვით ტკბილი არის ძუძუ დედისა, ამწარე იქნება ჩემი ნანინა, ვითა ლენცოფა მაღალ ქედისა“-ო.

(დასასრული იქნება)
ვან. კობეტიშვილი

ხელოვნების მოკლე ისტორია

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 5)
რა სარგებლობა მოაქვს ხელოვნების ისტორიას? ხელოვნების ისტორია აღსავსეა სხვადასხვა სკოლათა სკამათა დადადისით და დაუაზრებლად

ბით. იდეალისტები და რეალისტები, ძველი და ახალი ხელოვანნი, კლასიკოსები და რომანტიკოსები და სხვ. ყველა ესენი ერთი მეორეს უფრო ხშირად გახვიადებულ თეორიებს უდგენენ. ამისათვის თუ გნებავთ, რომ წარსულ დროის ხელოვნებაზე სწორი შეხედულება გქონდეთ, არც ერთ ამ ბანაკს არ უნდა მიემხროთ. ყველას შეუძლიან მოწონებაცა და დაწინებაცა. ეს ბიზანდიკომოვნების საქმეა, მაგრამ ერთი ნაწარმოების მოწონებამ მეორე არ უნდა დაგათრგუნებინოთ და მით უმეტეს გზა არ უნდა დაგვიმრუდოთ მის შესასწავლად. მსოფლიო მიუდგომლობით შეგვიძლიანთ აიმაღლოთ და გაითავითხოვოთ თქვენი მსატრფელი შეგნება. ამ გვარი ეკლექტიზმი სრულიად არ უკარგავს ადამიანს თავის თავადობას. საქმე ის არის უოველი ესმოდეს კაცს, შეგნებული ქმედეს და ანა ის, რომ უოველივე მოიწონოს და აღტაცებაში მოვიდეს.

თუ ასე განვიგებთ ხელოვნების ისტორიას, მაშინ ის მართლაც სასარგებლო იქმნება ჩვენთვის და ნაყოფსაც მოგვითმის. მსატრფისთვის მისი ცოდნა მიუცილებელია, რადგან იგი განცნობს წარსულს, რაც უოფილა, მსოფლიო ამ განცნობაში მსატრფარი არ უნდა განდეს მომბაძველი, ანამედ უნდა შეიჩინოს და უფროც გამოიჭდოს თავის თავადობა. მიუცილებელია მისი შესწავლა აგრეთვე ისტორიკოსისათვის და საზოგადოთ ყველა განვითარებულ ადამიანებისათვის, რომელ-

თაც კი სურთ საზოგადოთ შეისწავლონ კაცობრიობის უოფა-ცხოვრება, რადგან ხელოვნება ერთი უმთავრესი და უკეთილშობილესი სახეა ადამიანის მოდგაწეობისა.

ნაწილი პირველი.

უძველესი ეპოქა.

უძველეს კლასიკურ ეპოქაში თავის ხელოვნებით სახელი გაითქვეს იმ ეროვნებათ, რომელნიც ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე მოსახლეობდნენ. ესენი იყვნენ—ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბერძნები, ეტრუსები, რომაელები და ასურები. ასურები მართლაც ხმელთა შუა ზღვაზე მოშტობით ცხოვრებდნენ, მაგრამ ერთ დროს მთელს მცირე აზიასზე დიდი გავლენა ქმნდათ მოზოკებული. ხმელთა შუა ზღვა კი მისთვის იყო ცენტრო მაშინდელ განათლებულ ეროვნებათა, რომ იგი იყო მათი ბუნებრივი გზა. ამ გზის საშუალებით ვითარდებოდა ერთი მეორის დამოკიდებულება, იმავე გზის შეკრებით გადიოდნენ სხვა შორეულ ქვეყნებში, იარსებდნენ ახალ-შენებს და შექმნდათ მათი კანონები, ზნე-ჩვეულება, მრეწველობა და ხელოვნება. ამიტომაც უძველეს, კლასიკურ ეპოქის ისტორია ხელოვნებისა ერთ ნაწილში უნდა იყოს მოთავსებული.

შალვა დალიანი

(გაგრძელება იქნება)

ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი

ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე

მსურს ძიებით დაწვწვა სული, ხან უარგყო, ხანა მწამდე
 ხან გმზერდე, და ხან გეძებდე
 ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე...
 ხან, ვით მოგვმა, წარვთქვა გზებით—
 ლოცვა წმინდა—სილამაზე,
 ხან გიმღერო სიმღერები დაწერილი მზის გამმაზე.
 უბილავო...
 მე ვერ ჩავწვდი, სულსა ჰსწყურის მარად სწამდე,
 ის დაგეძებს საღვთო სიტყვით
 ვარსკვლავიდან ვარსკვლავამდე!..



შალვა დალიანი, ბენეფისი 20 თებ. ქუთ.

გ. ლეონიძე

ს ი მ ლ ე რ ა

დასძახეთ ლხენის სიმღერა, რაც ღიღინას აღარ გვსმენია!..
 ამ ჭირსაც კიდევ გაუძლოთ,—სხვაც ბევრი მოგვითმენია...
 სამშობლოს განსაცდელის ჟამს შეილებზე მგლოვიარესა
 გულს ნუ გაუტეხთ ცრემლებით, ნუ აგრძობინებთ მწარესა...
 გმირსა ხომ ჰმართებს მაგრობა, ჭირის დროს მოილხინოსა,
 გულსა დაკრული იარა მოთმენით მოიჩინოსა?!.
 რაღა არს იგი გმირობა, თუ ძნელსა შეუშინდება,
 თუ თვალს მომდგარი ცრემლები ლაწვებზე შეუყინდება?!
 ლხენა!.. სიმღერა, გმირებო!.. გული ნუ გაგიტეხიათ;
 კენესა, მოთქმა და გოდება უდროვოდ აგიტეხიათ!..
 დეე სქკნებოდეს კოკორი... ისმოდეს ბულბულთ გოდება,
 შენ ნუ შედრკები—გმირი ხარ,—გული ნუ დაგეკოდება!..
 მაშ გამაგონეთ სიმღერა, რაც ღიღინას აღარ გვსმენია:
 მრწამს, გამარჯვებაც დაპრჩება, ვის ბევრი მოუთმენია!..



მგოსანი ს. აბაშელი

ქაობის ციებითა ავად, ფილტიც და-
 ზიანებული აქვს, მესამე კვირაა ლოგინ-
 ში წვეს (ერთ პატარა ჰაერ მოხუთულ
 ოთახში). ჰყურანვენ ექ. ი. გომართელი
 და გვარჯილაძე. საჭიროა აბასთუმანს
 წავიდეს, თუ სახსარი მოიპოვა და ლო-
 გინიდან ადგა როგორმე.

მ. ჭრელაშვილი

ჩ ი ტ ი

ღია ფანჯრიდან შემოფრინდა პაწია ჩიტი,
 თვალე-ციმციმა, მოხდენილი, ლამაზი ცქვიტი;
 თვისი ნისკარტი მოყვითალო იატაკს დაჰკრა,
 ჰპოვა მარცვალი, მოტრიალდა და მსწრაფლვე გაჰქა.
 ვერც კი მოვასწარ, მეთქვა მისთვის: „შესდევ. პატარავ!
 მოწყენილი ვარ, ხომ კი მხედავ, მიმღერე რამე,—
 ბედმა გამწირა, კაცთა ენამ დამასამარა,
 ჭიკჭაკით მაინც მანუგეშე, ერთი ხმა გამე!..“
 მას შემდეგ ხშირად ღიას ვტოვებ ჩემსა ფანჯარას,
 მსურს კვლავ შევხედო ჩემსა ნაცნობს ფრინველს პატარას,
 ველ ი... არ მოდის... არც ის ვიცი, სადა აქვს ბინა;
 კვლავ ჰფრენს, თუ ტყის პირს საშულამოდ მან ჩაიძინა!..“

საფო მგელაძე

ბ რ ი კ ო ზ ი

პიესა სამს მოქ. და ოთხ სურათად
 (გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 6)

VIII

გიორგი და ილია ლუკიჩი.

გიორ. ილია ლუკიჩ, გესმით ეს რა ამ.
 ბავია ჩემს თავს!

ილ. ლუკ. რა ამბავია, ბატონო გიორ-
 გი, გამაგებინეთ გეთაყვა!

გიორ. გაფიცვის ვარდა, ბოიკოტიც გა-
 მოუტხადებიათ, გესმით ბოიკოტი! განუზრ-
 ხავთ სიმშლით მომკლან და მით მაიძულონ,

დავაკმაყოფილო, მაგრამ არასოდეს! მე ჩემს
 სიტყვას ისე დავიცავ, როგორც მოქალაქე,
 და მაგათ კი გავსრეს, როგორც ჭიას.

ილ. ლუკ. ნუ თუ მაგდენი გაბედეს მაგ
 უგუნურებმა მაგათ, მაგრამ მე არა მჯერა.
 აბა, თქვენ, ოქროს მეფეს, ვინ რას გაგიბე-
 დავთ, ვინ?

IX

ივინივე და სონა.

გიორ. სონა, წარმოიდგინე ჩვენ მუშებს
 ბოიკოტი გამოუტხადებიათ ჩვენთვის და მათი
 მუქარით დღეს ჩვენი მზარეულისთვის სანო-
 ვავე არ მიუყიდნიათ ვაჭრებს!

სონა. მერე მაგისტვის გულს რათ იშფოთებ, ჩემო კარგო! შევატყობინე პოლიციას და იმათ იციან მათი წამალი.

ილ. ლუკ. ქეშმარიტი ბრძანებაა. პოლიცია და მათი ჯანი, ისინი წაუკითხავენ მათ მამაოჩვენოს.

გიორ. (გაბრაზებული) არა, როგორ გამიბედეს, როგორ!

ილ. ლუკ. განა ცოტა თავხედი ხალხია!

სონა. თავხედები არიან და მათვე მოხვდებათ, თორემ ჩვენ რა. ზურგს რომ გაუხურობენ მათრახით და ციხეში ჩააღებენ, მაშინ გაიგებენ, თუ რა ძალა აქვს გიორგი ღიბაძეს. გიორგი, პოლიციას შევატყობინოთ, რომ ზომები მიიღონ, თორემ დღეს იმ სტუმართან შევრცხვებით.

გიორ. არაფერსაც არ შევატყობინებ, დეე, მოვიდეს ის პატივცემული სტუმარი და თავისი თვალითა ნახოს, თუ რა თავხედობა და საზიზღრობა ხდება მის რაიონში...

X

იგინივე და ბესარიონი.

გიორ. (ბესარიონს) სადა ხარ აქამდის! როდის მე დაგიძახე და ეხლა მოდიხარ! თუ შენც ბოიკოტს მიცხადებ. ხომ არ გინდა, ციხიბირს გადაგაცილო.

ბესარ. რეიზა მიწყრებით, ბატონო, მე რა დამიშავებია! ეს იყო ახლა მითხრა პავლიამ ხაზენი გიძახისო და მეც ვიახელით.

სონა. ბესარიონ სადილის საქმე როგორაა დღეს?

ბესარ. ძალიან გლახათ, ქალბატონო! ხორცი არავინ მომყიდა, პური და ღვინო. რავა წავა ჩვენი საქმე არ ვიცი.

გიორ. მერე ვინ გაბედა, მითხარი, ვინ თავხედობს ასე?

სონა. როგორ ჩვენი ფული არ ფულობს, თუ რატომ არ მოგყიდეს.

ბესარ. ფული კი არა, ბატონო, ათასი მანეთი რომ მისცე ერთ კონა პეტრუშკას არ მოგყიდინა. დილას რომ გვეიარე ბაზარში ყელამდის შევეცურდი პარკლამაციაში. მთელი ბაზარი მოფენილია. მებურესთან მივედი—არ მომყიდა. ერთი ფინჩხა ზიარებისთვის რომ ვინდოდეს ვერ მოგცემო. მეთევზესთან მივე-

დი და კეკალი გული მომეკეკა, მისთანა ზღუთი ჰქონდა გაკრილი, რომე ნერწყვის ყლაპამ დამახჩხო კაცი. უთხარი მომიქერი თქვა, მარა გარეთ გამომისტუმრა. მითხრა: „თუ ძმა ხარ, მომიცილი, ჩემ ღუქანში არ ღაგინახონ, თვარა შარს გადამიდებენო“. მისთანა კირიანები ყიდულობდნენ იმ ოქროსავით ზღუთს, რომ ქამის შნო არც კი აქვთ. ვაძლიე „ღვინოი“, მარა მაინც არ ქნა იმ წყეულმა. (ნეწყვის უღაბით) მწა, რომ გამახსენდება ის ზღუთი. რა იყო, რა იყო, ხაზენი! ქამის შნო ვისა აქვს და ვინ ყიდულობს!

ილია. როგორ შეუძლიან, რომ მეღუქნემ საქონელი არ გაყიდოს, ეს მეორეთ მოსვლაა სწორედ!

გიორ. (გაბრაზებული) ახ, ის ავაზაკები, ისინი!

სონა. გიორგი, უთხარი გუბერნატორს და ისეთ ადგილს გადაჰკარგავს იმათ, რომ თავის დღეში აქაური ჰაერი ვეღარ იხილონ.

ბესარ. დღეს კი უსადილოთ ვრჩებით, ქალბატონო, და მერე რა იქნება არ ვიცი. იმ ყასაბმა ხომ თელათ გადამრია კაცი. რავა, ჩვენ ჯინაზე დაუკლავს კარგი საქონელი თუ რა ჯანაბაა! როგორც ყვითელი ქარვა ისე ღუის ხორცი. ტყვილა არ დამასუნია ზედ, ისტე გამომავდო გარეთ. მაინც, ბატონო, საცხა შევედი ყველას შეეშინდა ჩემი, თითქოს რაცხა უჯმაჯური მოვლანდაო, ისტე ვადირინ ყველა. დედა იმ ყასაბს მაინც რა სუკი ქონდა. აი, ხორცი მესმის, მარა ჩვენ რა.

გიორ. კარგია, ნუ გააგრძელებ ენა (ზაჩის სმა ისმის) ვინ ეშმაკი რეკს იმ ზარს, სად აგდია პავლია! რატომ ზარს არ უყურებს, თუ ისიც გამეფიცა. (ბესარიონს) წადი სამზარეულოში, არსად წახვიდე, რომ დაგიძახო, მაშინვე მოდი, გესმის?

ბესარ. კი, ბატონო, გეახლებით.

სონა. ბესარიონ, „ზაპასი“ არაფერი გვაქვს მორჩენილი, რომ დღეს სადილათ გვეყოს? ერთი კაცი გვეყოლება სტუმარი მეტი კი არა.

ბესარ. არაფერი არ გახლავთ, ქალბატონო, თუ გნებავთ სახლიდან ჩამოტანილი

ლობიო მაქვს და ჩადობილი ქარხალი, თუ მიბ-
ძანებ შევადგამ ლობიოს.

სონა. არა, აბა ლობიო რა ჩემი საქმე!

ბესარ. (მიდის და კარებში) კეჭერა ფხა-
ლიცა მაქვს, თუ გნებავთ, გავაკეთებ ნიგვ-
ზით.

გიორ. (გაბრაზებული) გასწი აქედან, ნუ
ყბელობ. (ბესარიანს გადის) ბრიყვი, მოჰყვა
და აღარ გაათავა. ლობიო ჩადებულნი, ქარხა-
ლი, კეჭერა მხალი, სულელი!

ილია. ბატონო გიორგი, მაგან მე მგონა
ნია კეთილი გულით შეგთავაზათ და თქვენ
კი უჯავრდებით.

სონა. მეც ასე მგონია.

გიორ. (ილიას) ეხ... ჩემო ილიკო, სო-
ნამ რომ სთქვას ეპატიება, რომ ამ რაზბოი-
ნიკ სოციალისტებს ვერ იცნობს და მიკვირს
თქვენ როგორ სტყუვდებით. იმ საციმბირო-
ებს თავიანთი ქსელები ყველგან გაბმული
აქვთ. მე ვიცი ყველა ჩემი მოსამსახურე უკვე
ღარიგებული ჰყავთ. ვერა ჰხედავთ უბრალო
ქია, ვილაც მზარეული, რა ამბავში იყო, რო-
გორი ირონიით ლაპარაკობდა. (ისმის კული-
სებში ჰაეღას სმა: მობრძანდით ბატონო, ჰა-
ჟაღიტე, ჰაჟაღიტე. კასს გაუღებს, შემოდის
შაზრის უფროსი)

XI

ოგინიეუ და ვახილ ივანიჩი

ვახილ ივანიჩი (ძალიან მზიარულად) აა,
გამარჯვებათ, გამარჯვებათ! Софiя Никола-
евна, мое нижайшее почтенеiе! ბატონ გი-
ორგის ვახლავარ. აა, ილია ლუკიჩ, გამარ-
ჯვებათ, გამარჯვებათ. (უგუჯას ხეღს ანთმუგს)
Нусь, господа, какъ Ваше драгоцѣннѣй-
шее здоровiе! Софiя Николаевна, თქვენ,
როგორღაც მოწყენილობა გეტყობათ. Что
съ Вами, господа, въ чемъ дѣло? ბატო-
ნო, გიორგი, დაანებეთ მაგ ფულზეზე ფიქრს
თავი და გარწმუნებთ меньше заботъ у Васъ
будетъ и гораздо спокойнѣе будете чув-
ствовать себя.

გიორ. (საუგუჯუკით) სადაც თქვენ ისთა-
ნა აღმინისტრაციის წარმომადგენელი იქნება,
იქ, რასაკვირველია, მზიარულად იქნება კაცი
(ვასილ ივანიჩი განწყვიტდება)

სონა. ეხ... ვასილ ივანიჩ, ფულზე გინდ
ვიფიქროთ გინდ არა. ჩვენი ფული აღარ ფუ-
ლობს.

ილია. (სიცილით) ყალბი ფულები მო-
ქრა შესწამეს ბატონს გიორგის და მის ფულს
აღარ ლებულობენ.

ვას. ივ. Господа, Вы меня съ ума
сведете. Я Васъ не понимаю. Въ чемъ
дѣло, объясните ради Христа.

გიორ. (გაჯავრებული გასილ ივანიჩს) სულ
თქვენი ბრალია ყველაფერი. სიროცხელი
თქვენთვის! ისე თავაშვებული გყავთ ხალხი,
რომ ვილაც ყასაბი და მეპურეც კი ჰმედავს
ჩემთან კადნიერებას. (შედის ოთახში სწრაფად)

ვას. ივ. Прямо не понимаю я Васъ!
ნუ მტანჯავთ, ბატონებო, მითხარით რაშია
საქმე?

სონა. ვასილ ივანიჩ! შევიდეთ გიორგის
ოთახში და იქ დაწვრილებით ვიამბობთ ყვე-
ლაფერს და, გეთაყვა, ეცადეთ, იქნებ რა-
გორმე გიორგი დაამშვიდოთ. (ილია ლუკიჩს)
მობრძანდით თქვენც, ბატონო ილიკო!

ვას. ივან. წავიდეთ, ბატონო, წავიდეთ,
ერთი ჩქარა გამაგებინეთ რაშია საქმე! (უგუ-
ჯასი გადის. მეორე მხრით გამჩნდება ვახლია,
ილია ლუკიჩი ჩამოდგება)

XII

ვახლია და ილია ლუკიჩი.

ილია. ოო, ვახლია სწორედ შენ მინ-
დოდი.

ვახ. რაშია, ბატონო, საქმე.

ილია. ზოიწი აქეთ, უნდა გითხრა რამე.

ვახ. ბძანე, ბატონო, აქნაც გევიგონებ,
ყრუ კი არა ვარ!

ილია. შენ ერთ საქმეს ვერ იზამ?

ვახ. რას, ბატონო?

ილია. ხომ ხედავ როგორ არის საქმე.
შენ ყოჩალი ბიჭი ხარ და ყველაფერს მოა-
ხერხებ. შენ უარს არავინ გეტყვის. წადი ბა-
ზარში და ისე ივაქრე, მითომ შენთვის გინ-
და მოიტანე დღეს სადილისთვის „პრავეზია“
და შენი დასაჩუქრება შე მკითხე.

ვახ. აჰ, მაგი რავა შემძლიან! მამა ჩემი
არ ყოფილა შპონი და მოღალატე და ბაბუა
ჩემი თავი მოსაკლავი კი არა მაქვს. სამსახურს

დავტოვებ, წავალ აქიდან და მაგას კი არ ვიზამ.

ილია. არა, შენ კი ნუ იყვირებ, შე კაცი კაცო, ჩუმათ წადი და ჩუმათ მოდი.

პავ. რავე მამბრიყვებო, ბატონო! ბაღანა კი არა ვარ. მამა ჩემს ხმელა ქალის და ლობიეს მეტი თვლით არაფერი უნახავს. მე რომ იქინე ზუთხი და სუკის წვადები ვიყიდა, ბოვშიც კი მიხვდება, რომ ჩემთვის არ მენდომილება. არა, მაგას ვერ ვიზამ. მბრეგს ვინცხა და გადამაკოტრიანლებს. თქვე დალოცვილო, ჩემი ცოდვა რათ გინდათ.

ილია. სხვა და სხვა ადგილას იყიდე წვრილ-წვრილად და ვერაფერს გაგიგებენ.

პავ. არა, ბატონო, არა. პრასნი კი არ ვარ, რომ თავი წამქრა და მეორეთ ამოვიყარო. (გვერდზე) აბა, მე იქინე თავს მივკლავ და კესას შენ დაგიტეებ. მანამდის არ ადგა შენი გვერდები! (გამდის ვასილ ივანჩი და ჯიან ალექსეიშვილი და ტაქსიონს ეძებენ)

XIII

ივანჩე ვასილ ივანჩი, სონა და გიორგი.

ვას. ივ. (ჯანჯანაკით გამოდის, თან გამოჭყვება გიორგი და სონა) Позвольте, позвольте, я имъ покажу. (რეკავს ტაქსიონს, უკლანს ვასილ ივანჩის უფურკებენ) Центральная? А, родильный пріютъ! На что мнѣ родильный пріютъ. Дайте отбой. (რეკავს) Откуда? Полицейскій участокъ? Кто у телефона? Приставъ! Я уѣздный начальникъ. Приготовьте стражниковъ! (დადებს ტაქსიონის ტაქს) Подлецы, სუყველას გავაციმბირებ. (ზავჯიანს) წამოდი ჩემთან და მე გამოგატან სადილასთვის ყველაფერს. სულ დავამტვრევ დუქნებს, ძალით წავართმევ და გამოგატან, წამოდი.

პავ. აჰ, არ შემიძლიან, ბატონო!

ვას. ივ. როგორ თუ არ შემიძლიან, რატომ!

პავ. მომკლავენ, ბატონო, არ შემიძლიან.

ვას. ივ. ვინ მოგკლავს, ნალვანხ!

გიორ. (მაზრას უფრასს) ვასილ ივანჩი, დაანებეთ მაგ ბიჭს თავი. სანამ თქვენ პრასტავს მნახავდეთ, მანამ ილია ლუკიჩი წავა ბაზარში და მე ჩემს მზარეულს გავატან.

არ მიჰყიდიან, მაშინ თქვენ მიხვალთ და მუშას გამოატანეთ. (ზავჯიანზე) ეგ ბიჭი მე მჭირდება აქ.

ვას. ივ. Хорошо. Ну съ, ნახვამდის Софія Николаевна, ნახვამდის, ბატონო გიორგი, (სუქს ჩამაკათმევს სუყველას) Не беспокойтесь, господа, я все Вамъ доставлю и все шероховатости будутъ сглажены! (თავის კვრით გადას) До свиданія, господа!

გიორ. ილია ლუკიჩ, წაიყვანეთ მზარეული ბაზარში და სცადეთ ბედი. (გიორგი და სონა გადას)

ილია. დიდი სიამოვნებით (გადას)

პავლია, შემდეგ კენხა.

პავ. დასწყევლოს ღმერთმა, რავე შემომიჩნდნენ: ილია ლუკოვიჩი საშვიონოთ მაგზანის, ჩუმათ იყიდე პრავიზიონო, ეს ვასილ ივანჩი თუ, რაცხა, გამომყევი ბაზარში, წავართმევ და გამოგატანო, ისრე ვაღამეკილენ აგენი, რომ ნამდვილათ ვინცხა მბრეგს და მწარე ბოლოკივით ამომადრობს სულს. წვეიდე კესა მოვანახო და პატარა ოუს-ჩამოუსვა ხელი, თორემ მე რომ მომკლას ვინცხამ და ჩემი კუკრუტინა კესა ილია ლუკოვიჩს საგლეჯათ შეიქნეს, ხომ აყეფელი კაცი საფლაფში თფუ... ეშმაკო, დაგწყევლოს სამას სამოცდა სამამა წმინდა გიორგიმ! ჩემი სიკვდილი ღმერთმა ნუ ქნას. ჯერ ჩემი ხაზინის ალაზხედ უნდა ვამევიბეზო და მერე ანასუნი ჩემს საქმეს. (კესა შემოდის)

კესა. (ზავჯიანს) ვის უწყრები, ბოშო, რა ამბავია!

პავლია. (გადაუხტება, კესა გაქტევა. ზავჯიანს მისდევს უფირილით) კესა, კესა, შეიცა შენ დაგენაცვლე!

ფ ა რ დ ა
(შემდეგი იქნება)

გოგონა



სახალხო თეატრის მუშაკი



დ. რ. შველიძე
(† 7 თებ. 1916 წ.)

ახლაც თვალწინ მიდგას ამხანაგ სცენის მოყვარულთა ის მცირე ჯგუფი, რომელმაც ამ ოცდასამი წლის წინად ავქალის აუდიტორიაში საჩაიე მოწყობილება მოშალა, საკუთარი შრომა-ხარჯით სცენა ჩადგა და სახალხო წარმოდგენების მართვა დაიწყო...

ამ ჯგუფის ერთი პირველი, გულწრფელი და თავგამოდებული წევრთაგანი იყო, გასულ კვირას ბაქოში გარდაცვლილი, დავით რომანოზის ძე შველიძე, რომლის ცხედარიც 11 თებერვალს პეტრე-პავლეს სასაფლაოზე სამარეს მიაბარეს...

დათიკომ, — ზენიკლის შვილი იყო და საქალაქო სკოლაში სწავლის დასრულების შემდეგ ყანთარზე მუშაობდა, — აღრევე აართო აღლო სახალხო სცენას და ხელოსანთა ჯგუფი შესდგა თუ არა წარმოდგენების სამართავად, ისიც ჩამოერია და დღე და ღამ აღარ გეშორდებოდა: ფულით, გარჯით, სიტყვით თუ საქმით მუდამ ერთგულად გვეხმარებოდა სათეატრო საქმეში. ნიკიერმა სცენის მოყვარემ იმ თავითვე მიიპყრო ყურადღება და საუცხოვოდ ასრულებდა კაკულის (ზებოა), პეტუას (რციმბ.ა), გიჟ-მოყეს (რდაქ. ოჯ.) და სხ. ამ ათიოდე წლის წინად ბაქოს გადასახლდა სამახურის გამო და იქაურ სცენის მოყვართა შორისაც მონაწილეობდა და მისივე მახლობელ მეცადინეობით დაფუძნდა ბაქოს დრამატიული წრე. ბაქოში 15 წ. სასცენო მოღვაწეობის დღესასწაულიც კი გადაუხადეს.

ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, 37 წ. და ამიტომ უფროა მისი უღროო სიკვდილი გულის მომწყვლელი... სახალხო თეატრი მუდამ მადლობით მოგისხენიებს ამ გულწრფელ მუშაკს...

ნუმც წარბოცება სახსენებელი შენი, სახალხო საქმეში ძვირფასო ამხანაგო!...

იოსებ იმედაშვილი

ელ. ჩერქეზიშვილის დღესასწაული

დიდად პატივცემულო,
ბ-ნო ელისაბედ!

თქვენის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად ამოჩნეულმა კომიტეტმა მამანდო მოგილოცოთ დღევანდელი დღესასწაული. უფაქს წვეგს ამ კომიტეტისას კარგად აქვს შეგნებული და გათვადისწინებული ის ეკლანო გზა, რომელიც უნდა განვლავს ჩვეულებრივ მსახიობმა დრამატიულ ხელოვნებისამ და განსაკუთრებით ქართველმა მსახიობმა.

ამ 30 წლის განმავლობაში არა ერთს ახალგაზდას ორივე სქესისას დაუწეია შრომა ქართულს სცენაზე და თუმცა ზოგიერთნი ბუნებრივ ნიჭითაც უფთიდან დაჯილდოებულნი, მაინც სიძნელე ამ ეკლანის გზის გადასახვისა ვერ დაუძლევათ, განშორებან ხელოვნებას და უბრალო ხელოსნებად კარდაქმნილან. მრავალნი არიან წვეუელ, ხალო მტრედნი რჩეულ და ამ მტრედთა შორისაც უმეტესობა ვერ დასძლევეს ხალო ეკლანის გზას მსახიობის ცხოვრებისას.

თქვენ კი, დიდათ პატივცემულ ელისაბედ, დაუწეე რა ბრძოლა არა მარტო ჩვეულებრივს სიძნელეს მსახიობის ცხოვრებისას, არამედ თქვენის ოჯახისა და მონათესავე წრის შეხედულობასაც, რომელთა შორის უმეტესობა არ თანაუგრძობდა თქვენს სამოღვაწეო სარბიელს, არ უდადატეთ თქვენს ბუნებრივს მოწოდებას, მხნედ შეუდექით ამ ეკლანის გზას, მისმა სიძნელემ არ შეგაშინათ და მამანდა გადასახეთ იგი, ფართო გზა მიეცით თქვენს ნიჭს, კაჭფურჩქნეთ იგი, ააყვავეთ და სცდილობდით თანდათან უფრო სანარკებლო უფთილიყავით სამშობლო სცენისა და სამშობლო ერისა.

და აგერ დღეს, თქვენის სამშობლო სცენაზე მოღვაწეობის 30 წლის თავზე, ქართველი საზოგადოება, ვით წარმომადგენელი ქართველი ერისა, შემოკრებიდა ამ ხელოვნების ტაძარში თქვენდა პატივსაცემლად, თქვენდა მადლობის გადასახდელად იმ სიამოვნებისა და სიტკბოებისათვის, რომელიც ნაგრძნობი აქვთ თქვენის ნიჭიერის სასცენო მოღვაწეობით.

გუერთდებით რა ამ საერთო პატივისცემისა და მადლობის ხმას, გისურვებთ შერშეცა და მრავალ ყაშიერ განგებრძოთ თქვენი ნიჭიერი დეაწლი თქვენდა სსსსსელოდ, სამშობლო სტენის სსსსსგებლოდ და საქართველოდ სსკეთილდლოდ.

გილოცავთ რა კვლავ დღევანდელს დღესასწაულს, ნება მომეცით მოგიძღვნათ ეს მტირედი ნიშანი კერძოდ კომიტეტის წევრთა პატივისცემისა.

ა. მ. ახნაზაროვი

2 თებერვალი 1916 წ.

სამხატვრო წერილები

1

ა. ი. კ უ ი ნ ჯ ი*)

რუსთა მხატვარი ახსაჲ ივანეს ძე კუინჯი, ჩამომავლობით ბერძენი, დაიბადა 1892 წ. კუინჯი ბერძენ მუშაობდა უკრაინაში და სსუცხოდ ხატავდა იქაურ ბუნებას; მთვარის მომჯადოებელი სინათლე საკვირველის ოსტატობით გადაჭქონდა ტილოზე. იგი გასაოცარი ზეიზაუსტი იყო. თავის სურათებში იგი მომეტებულად რდილობდა სინათლის ეფექტების გადმოცემას და ამ მხრივ, მართლაც, გასაოცარ შედეგებს მიახწია. დანახენ დეტალებს მუშაობაში ნაკლებ შურადლებას აქტევედა. ამიტომაც, კრამსკოის სიტუვით, „მისი ხეები თითქოს მსუდისაგან აჩინაო“. თუმცა იგივე კრამსკოი სწერდა მისი სურათის „უკრაინის ღამე“-ს შესახებ: „მთელი სურათი საესეა ნამდვილი სინათლითა და ჭკერით, მისი მდინარე მართლაც მოძრაობს დიდებულად, ცა კი ნამდვილი ცაა, უძირო და უსაზღვრო... მე ამ სურათს დიდი ხანია ვიცი, — სწერს იგი, — მინახავს იგი დღის ყოველ მომენტში და ყოველხანის განათების ყაშს, დაგემოქმებით, რომ, როგორც ჩემს პირველ გაცნობაზე სურათთან ფიზიოლოგიურ გადიზანებას განვიცდიდი თვლებში, თითქო ნამდვილ სინათლისაგან, ისე ეველა უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც კი სურათს ვნახავდი, ყოველთვის ერთი და იგივე გრძობა აღიფროდა ხოლმე ჩემში, გზა და გზა კი ვსტკებოდი დამით, ფანტასტიური სინათ-

ლით და ჭკერითა“ სინათლეს, ჩამავალ მზის-შუქე სინათლის გაფარებაზეულ ზოლებს ისე გადმოსცემდა კუინჯი, როგორც არც ერთი მხატვარი, და ამ მხრივ იგი ნოვატორად ჩაითვლება ხელოვნებაში. ასეთებია მისი სურათები „ელოვა-ქუხილის შემდეგ“, „ქალა არყის ხეებითურთ“.

ა. ი. ცნობილია როგორც მსწავლებელი და აღამიანი, დაინტერესებული რუსულ ხელოვნებით და მისი ბედით. მან 100 ათასი მანეთი შესწიკა სსპრემიებოდ ახალგაზდა მხატვრებს სსუკეთესო ნაწარმოებებისთვის. სინათლის ეფექტები — მისი ძალა — უნარია.

ახსიზე ივანეს ძე კუინჯი გარდაიცვალა 1910 წელს 11 ველისს.

მის სურათებში გასაოცარის ილიუზიით იყო გადმოცემული მთვარისა და მზის განათება, როგორც მაგალითად მის სურათში „თათრების სოფელი მთვარის მიერ გაშუქებული“. საკუთარ თავის მკაცრმა კრიტიკამ ხელი შეუშალა მხატვარს თავისი ბოლოდროინდელი ნაწარმოებნი გამოეფინა. მანაც განიცადა ის ტრადელია სულისა, რომელმაც აძულა იგი ცეცხლისთვის მიეტა მრავალი სურათი, რომელნიც ვინ იცის აღტაცებას და მადალ ნეტარების გრძობას აღუძრავდნენ ხელოვნების მოყვარულთ.

გოგია ხმალიძე

სალამი შიო მღვიმელს

ჩემდა სამწუხაროდ, სკოლის სკამზე არა მჯდარვარ. მოკლებული ვიყავი ამ ბედნიერებას. მიუხედავად ამისა მე ვეზიარე და დვიზარდე ჩვენი მწერლების ნაწერებზე. ბიძია შიო ჩემთვისაც ისეთივე საყვარელია, როგორც ქართველი ბავშვებისათვის. მეც ქართველ ბავშვებთან ერთად ბავშური სიხარულით აღფრთოვანებული გულწრფელად ულოცავ ოცდა ათი წლის დღესასწაულს საყვარელ შიოს. უსურვებ დღევანდლობასა და მხნეობას, რომ მისი გრძობიერი ჩანგის ყღერა დიდხანს არ შეწყვეტილიყოს, რომ მაღლიანი ტბილი ლექსებით მრავალჯერ დაეტკობს ქართველი მოზარდი თაობა.

ვასილ კირვალიძე

*) ამოღებულია რუსულ წიგნაკიდან.

ჯ ა რ ი ს კ ა ც ი

(სახ. სახლში 31 იან. მ. კავსადის ლობჯინაძის გამართულ კონცერტზე ფანდურზე ნამღერი ვ. უსტიაშვილის მიერ)

დედამ რომ შვილი გაზარდოს, აი რისთვისაო:
 ოცი წლისა რომ გახდება--ომისათვისაო;
 დღეობაში წაიყვანა, ქალი გასინჯაო.
 ჯერ კენჭი არ ამოელო--შაქრო დანიშნაო,
 თექვსმეტი წლის კობტა ქალი გვერდზე მოუსვაო.
 გავიდა რამდენიმე თვე--შაქროს კენჭი ხვდაო;
 ახლად დანიშნული შაქრო ძლიერ დაღონდაო.
 გამოემშვიდა მშობლებსა და დანიშნულსაო.
 დაღონებული შაქროა ჯარში წავიდაო.
 ერთი წელიწადის შემდეგ ძლიერ დაიჭრაო.
 დედას წიგნი მოუვიდა: შაქრო ავათააო.
 ადგა დედა, წამოვიდა ქალაქისკენაო.
 ერთი პატარა ჯარის კაცი ნათლუხში ნახაო.
 იქნება ამან იცოდეს--შაქრო სადააო?
 --შვილო, შვილო! შენ გაზარდას, შაქრო როგორაო?
 --ეს ერთი დღეა, დედიჯან, რაც შაქრო მოკვდაო.--
 ამის გაგონებაზედა დედა წაიქცაო.
 --შვილო, შვილო! წამიყვანე შაქროსთანაო!
 შაქროსთან რომ მიიყვანეს--ბევრი იტირაო:
 --შვილო, ნეტავ შენზე წინეთ მე მომკვდარიყავო,
 ერთი შვილიც იქ მომიკლეს, შენ მეორე ხარო.
 აბა, როგორღა ვიცოცხლო თქვენმა მშობელმაო.
 შაქროს ახლად დანიშნულმაც ბევრი იტირაო;
 ვერ მოხდა ჩვენი ცოლ-ქმრობა, ბედმა გვიმტყუნაო.
 წაიძრო თითზე ბეჭედი, გულზე დაადევაო:
 --ეეს შენი მოცემულია, შენ წაიდე თანო.
 თუ შენ აღარ მეყოლები, აბა რათ მინდაო!«
 დანიშნულმა შაქროს დარდი ვერ აიტანაო.
 ნამეტანი დარდისაგან ის ავად გახდაო.
 არ გასულა სამი თვე, რომ ისიც თან გაჰყვაო.
 შაქროს რაღას უშველიდა, თავი მოიკლოა!..

ვანო უსტიაშვილი



ბაქოს დრამ. წარმოდგენა, 24/1 წარმოდგენა ფოსის 3 მოქ. დრ. „დამნაშავეა?“ პიესა კარგად იყო მომზადებული: როლები შესაფერად განაწილებული და რიგიანად წარმოდგენილი. უმთავრესად ყურა-

დლებს იპყრობდნენ თვისი მოხდენილი თამაშით: ბ.ბ. ზარდალიშვილი (ტომას ლეერ), რომელმაც მთლიანის განცდით გადმოგვცა უდანაშაულოდ დასჯილის ფსიხოლოგია და გ. პავლიაშვილი (გუსტავ ბერგერი) —საკმაო სინამდვილით დაგვიხატა დაფარული ცოდვებით დაავადებული ადამიანის ტიპი. ქ-წნი: ქილარჯიშვილი (მართა), შოთაძე (იულია), ბ-წნი ჭუმბურიძე (კარლო), მატარაძე (ადოლფ კრამერ), გომართელი (მოსამართლე), ჯიქია ვეჩე—(კლუგი), ბეჟუაშვილი (ფონ ეილენ), მიქელაძე (საპატიმროს მცველი) და სხ, პიესის საერთო მსვლელობას ყოველმხრი-

ვად ხელს უწყობდნენ. წარმოდგენას ხალხი შედარებით ნაკლებად დაესწრო.

—ბა

ფოთის მუს.-დრამ. საზ-ის შესახებ ჟურ. „თ. და ც.“-ის № 3-ში მოთავსებული ა. ფანცელის წერილი ცალმხრივია. სიმართლის აღსადგენად საჭიროა განვმარტოთ, რომ ფოთის მუს.-დრამ. საზოგადოებას მეტად ცუდ პირობებში უნდებამ მუშაობა. ამის თავი და თავი მიზეზი ის არის, რომ ქ. ფოთს არა აქვს თეატრი. მხოლოდ კერძო პირს აქვს სათეატრო დარბაზი, რომელშიაც აჩვენებენ „სინომოტოგრაფიულ“ სურათებს. ამ თეატრის პატრონი დრამ. საზოგადოებას თეატრს 60 მ. ნაკლებ არ უთმობს. ასეთი დიდი ხარჯის გაწევა საზოგადოებას მუდამ არ ძალუძს. უსახსრობის გამო საზოგადოება ვერც მუდმივ რეჟისორის მოწვევას ანერხებს, რადგან შემოსავალი ხარჯებს ვერ ფარავს. ხსენებულ საზ-ების მიზანია იაფ-ფასიანი წარმოდგენები მართოს. მაგრამ ეს მიზანი მანამ ვერ განხორციელდება, სანამ ფოთის ქალაქს საკუთარი—სახალხო სახლი—თეატრი არ ექნება. და თუ საზ ბა ეხლა ხანდისხან მაინც მართავს წარმოდგენას, ეს იმიტომ რომ, უფლება შეინარჩუნოს. მიუხედავად ასეთი დიდი დებრკოლებისა, მუს.-დრ. საზ-ის დეაწლი თვალსაჩინოა. ამ მდგომარე სეზონში საზ-ებამ გამართა სამი წარმოდგენა (და არა ერთი, როგორც ბ. ფანცელი ბძანებს): ერთი რუსულმა სექციამ და ორი ქართულმა—„გაწყვეტილი სიმი“ და „მეგობრობა“. ახლა წარმოდგენების ღირებულება: „გაწყვეტილი სიმი“ დასდგეს მსახიობ გვარაძის რეჟისორობა-მონაწილეობით. წარმოდგენას ეტყობოდა რეჟისორის ხელი: სცენის მოყვარენიც მწყობრად ასრულებდნენ ნაკისრ როლებს და ხალხი მეტად კმაყოფილი დაიშალა. „მეგობრობა“-ში, მართალია ზოგიერთი სცენის მოყვარე ვერ იყო მომზადებული, მაგრამ ზოგიერთები, პირიქით, ფარავდნ ამ ნაკლს. მაგ. ქ. ჯაჯიას ასული (ლიზა) ნამდვილი ტიპი იყო ქმარზე გაბატონებულ უზნეო დედაკაცისა. ქ. ნ. წულაია (ელიკო) ძალიან კარგი იყო (II მოქ.) ეს ახალგაზდა ქალი მეორედ გამოდის სცენაზე და, ჯერჯერობით, მისი დაწუნება ნაადრევია, მით უმეტეს რომ, ის ძლიერ ერთგულად ეცილება სასცენო საქმეს. დიდებული იყო ბ. თოფურიძე (ეჭვთიმე). არა უშავდათ თაიანთ როლებში ბ.ბ. კ. ცინცაძეს, ა. სამსონაძეს და (როგორც თვით ბ. ფანცელიც ამბობს) კ. ვაშლომიძეს.

ქ. ნუცა ნარაკიძის ასული კი, აგერ 5—6 წ. გულწრფელად ემსახურება ფოთის სცენას და მისი თამაშით ყოველთვის კმაყოფილია დამსწრე საზოგადოება. მშვენიერი იყო თამარისა („მეგობრობა“) და ელენეს („გაწყვეტილი სიმი“) როლებში. საზოგადოთ ყველა თავის ძალღონის შესაფერად მუშაობს. ამიტომ არ არის კარგი, როცა შორიდან, დაუმსახურებლად იხსენიებენ ამა თუ იმ გულწრფელ მუშაკს.

დასელი ქალი

ქართული კონსერტის სახელით ალ. მაისურაძემ 7/II „სახ სახლში“ სასიმღერო დილა გამართა. კონცერტის დაწყებამდე ბ-მა გ. ჟორდანიამ წაიკითხა შინაარსიანი ლექცია „ჩვენი ადათ-ჩვეულებანი“. რისთვისაც ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. საკონცერტო განყოფილებაში ენახეთ დაუმუშავებელი ძალა ბ-ნა მაისურაძეს შეკრებილი ხმები რომ უკედ მოემზადებინა და მხოლოდ ქართული ხმები (და არა შერეულ-შერყენილი „ევროპიულ-ქართული (?)“) აელო, მისთვისაც ემჯობინებოდა. ქართულ ეროვნულ მუსიკის ასპარეზზე მუშაკობა ფრიად საპატიოა, მაგრამ ნება არავის აქვს ამ დ რგს უზატიურად მოექცეს. თითქმის ყველა მათი ნამღერი უფერული გამოვიდა. უკეთესი იყო ბოლო განყოფილება—გლეხური. აქ გვაჩვენეს გლეხებთან უფრო დაახლოვებული ცეკვა (და არა შარტი, როგორც ზოგიერთებს სჩვევიათ). ლ. ჯანდირმა თავისი „ურმულით“ და ტრიოში მონაწილეობით საზოგადოება მოაჯადოვა. მეტად საამო და მოქნილი ხმა აქვს. უსმენთ და—გლეხთა სამფლობელოში გადაყვებართ. დამსწრეთ ხანგძლივი ტაშით დააჯილდოვეს იგი. ბ-ნ მაისურაძეს ურჩევთ, ჩვენი წმ. ეროვნული ხმების შეკრება-დაუმუშავებს შეუდგეს და გუნდიც უკეთ მოამზადოს. ამის სიყვარული და უნარი კი, როგორც ეტყობა, შესწევს. იგი, როგორც გვითხრეს, მუსიკას საგანგებოდ სწავლობს და ამ დღესაც რამდენიმე საკუთარი სიმღერა („ნუ მღერი ტურფავ“, „სული მიწუხს“, „აი სამარე“ და სხ.) მოგვასმენინა. საზოგადოებამ მომღერალნი ტაშით დააჯილდოვა და ზოგიერთი სიმღერის გამეორებაცა სთხოვა. უსავენო

„ავლაბარ-პალას“-ის თეატრში ავლაბრის და ხარფუხის სცენის მოყვარეთა შეერთებულმა აზნაგაბამ და ბ. ს. ზეზანაიის რეჟისორობით განახლდა სეზონი. პირველად 23/1 დასდგეს „ოჩი ობოლი“. საზოგადოება დიდად მადლობელი დაჩნა. მეორე წარმოდგენა შაბათს, 30/1 იყო. წარმოდგინეს „მისევერძლისა“ პირველი და მესამე მოქ. და „სადამოს ერთი ცხვირი სეირია“. საზოგადოება კვლავ კმაყოფილი დაჩნა, მაკვამ მომზადება აკლდა. დიდი უკრადლება უნდა მიექცეს წეს-რიგს, ვინაიდან უწეს-რიგობა დიდად უშლის ხელს წარმოდგენას. 26/1 დარნედის რეჟისორობით წარმოდგინეს „ბაიუში“. „გაი ეობოს“ და „ოთხი იმერელი“... ამ სადამოს საზოგადოებამ ნაკლებად ისიამოვნა... ქადაიან ცივად თამაშობდნენ. ხალხი ცოტა დაესწრო.

სამშაბათს, 2/II წარმოდგინეს „ქრისტიანე“, რამაც ნათლად გვაჩვენა ახალგაზდა სცენის მოყვარულთა ძალა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მეოთხე მოქმედება, რომელიც თითქმის უნაკლულად ჩაატარეს. ნა-

კისრი როლები პირნათლად შეასრულეს: მარგველა-შვილმა (ქრისტინე), ჭელიძემ (დათია), გელიკურაშვილმა (მიკიტანი) და კობახიძემ (გოგი), გრ ივანიძემ (ლევან), რჩეულოვმა (ნატალია), მგალობლიშვილმა (იასონ), უმბრიევმა (მიტუშა). კინტოებმა და ქალებმაც შესაფერად იცეკვეს.

ნ. ხ—ელი

ძ. ბათოშვი შაბათს, 31/I რკინის თეატრში, ადგილობრივი „შავარდნების“ ამხანაგობამ გამართა საღამო, ბ-ნ ვ. ა. კოუბის მეთაურობით. I განყ. დაუჭრა ბათომის გიმნაზიის მოწაფეთაგან შემდგარმა სიმებიანმა ორკესტრმა ბ. ნევისკის ლობაზრობით. მან მშვენიერად შეასრულა სხვა და სხვა სიმღერა-რომანსები. დიდი ყურადღების ღირსია ბ-ნი ახალაია: მას გამოუგონია მშვენიერი და ლამაზი „მარში“. ამვე გან-ში ქალებმა („შავარდნებმა“) გვაჩვენეს თავისი „თავისუფალი მოძრაობა“. II განყ. გვაჩვენეს ვარჯიშობა პარალელურ ბრუტებზე. ამ ვარჯიშობაში საზოგადოების ყურადღება მიიპყრო განსაკუთრებით ბ-ნმა კლარკოვსკიმ და იგიტხანოვმა. სხვათა შორის „შავარდნებმა“ „ბოქსი“ შეასრულეს. მე-III-მე განყ. უმეტეს ქალები მონაწილეობდნენ. აღმზარეთეს რამდენიმე პირამიდა, მათმა ვარჯიშობამ ყველა აღტაცებაში მოყვანა. მე-IV განყ. ისევ სიმებიანმა ორკესტრმა დაუჭრა. სხვათა შორის შეასრულეს „პოპური“ და ქართული სიმღერა „ითამაშე თამარა“. ამის შემდეგ გაიმართა „ტურნიკზე“ ვარჯიშობა. ბ-ნ პასიკოვის ვარჯიშობამ საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა, აგრეთვე კარგათ ივარჯიშა პრუსსკიმ. საზოგადოთ ბათუმის „შავარდნებმა“ თავისი პირველი და მშვენიერი გამოსვლით ბათუმის სცენაზე სახელი მოიპოვეს. მთელი დარბაზი გატენილი იყო ხალხით. შალვა ინასარიძე

წვრილი აგებები

- ◆ **ქართული ღრამ.** დანის შემდეგი წარმოდგენები: 1) სამშაბათს, 16 თებერვალს „სახალხო სახლში“ — „მადამ სანჯენ“; 2) ხუთშაბათს 18 თებ. „ახალ კლუბში“: 3. ირეთელის „ბედნიერი დღე“.
- ◆ **ღია ჩიანელმა,** რომელმაც უკვე დაამთავრა უნივერსიტეტი და ბაქოს ქალთა გიმნაზიაში მასწავლებლის ადგილი მიიღო, დასწერა ორ მოქმედებია-ნი დრამა „სიკვდილის ქანდაკება“.
- ◆ **მისაბაძი ვულკათილოზა** გამოიჩინა პროვინციელმა ხელოვან-ვაჭარმა ივ. სიმ. მქსნიევმა: ამ დღებში ას ი (100) მან. გამოუგზავნა ჩვენს რედაქციას ახალგაზდა მგოსნ ს. ს. ფაშალიშვილის გადასაცემად, რათა მან შესძლოს სწავლა-განათლების მიღება. ფული უკვე გადაეცა ს. ფაშალიშვილს.
- ◆ **ახალგაზდა მგოსანმა** ნოე ჩიკვაძემ დასწერა ახალი დრამატული პოემა „ღმერთი და ადამიანი“.
- ◆ **ალ. მაისურაძის** ქართული გუნდი ამ მოკლე ხანში გაიმეორებს თავის კონცერტს სახალხო სახლ-

ში. გუნდი შეასრულებს ახალ ქართულ ეროვნულ სიმღერებს.

- ◆ **მგოსანი ვ. რუხაძე** თბილის დასახლდა.
- ◆ **ნ. ნიკოლაძის საძმე,** რომელიც 5 თებ. უნდა გარჩეულიყო ქუთაისს, გადაიღო.
- ◆ **შიო მღვიმელის** 30 წ. სამწერლო მოღვაწეობის პატივსაცემად დღესასწაული სახაზინო თეატრში გაიმართება დღეს 14 თებ.
- ◆ **დღეს** სახალხო სახლში იმართება სალიტერატურო დღე: ლექცია 1) „შრომის შვილი—იოსებ დავითაშვილი“, 2) კაკო ბლაქიაშვილი, და 3) ლექსები და სცენები.
- ◆ **ღარო ჩაჩულოვის** 25 წ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად 16 თებერ. ავლაბრის პალას თეატრში წარმოდგენილი იქნება „ქართველი დედა“.
- ◆ **ბაქოს სცენის** მოყვარე. ა. პავლიაშვილი, რომელიც უკვე ხუთი წელია მუშაობს ქართულ სცენაზე, ამჟამად ბალახანის ნავთის მრეწველთა საავადმყოფოში წევს. ბაქოს დრამატულმა კომიტეტმა მას ნივთიერი დახმარება აღმოუჩინა.
- ◆ **„ცისფერი ქანაზი“** აღმანახი, პ. იაშვილის მანიფესტიტურ, დღეს გამოვა ქუთაისში.
- სათეატრო ბილეთების** ფასს თებერვლის 1-დან მანათზე ათ შაურამდე მოემატა საომარ ხარჯების სასარგებლოდ.
- ◆ **ბენეფისები:** 1) შალვა დადიანისა ქუთაისში გაიმართება 20 თებერ — „გადაჭრილი მუხა“; 2) ი. ზარდალიშვილისა ბაქოში 21 თებერ. „ყაჩაღები“.
- ◆ **ბაქოში** 7 თებერ. შველიძის გარდაცვალების გამო მორიგი წარმოდგენა გადაიღო.
- ◆ **ქუთაისის დასს** 18—21 თებერ. ზედიზედ წარმოდგენები ექნება.
- ◆ **ნ. ჩხიძე** საგასტროლოდ ქუთაისს ეწვევა 13—14 თებერ.
- ◆ **შურ.** „თეატრი და ცნობარება“ მთელი წლით გაუწერეს: 1) ვასილ დავითის ძე ჯაშმა—ვანის (გურიაში) სამკითხველს; 2) ნ. ნ. შავდიამ—ნაოლალევის სამკითხველს.

ჩვენი პასუხი

ფოთელ ძალეზს—ქ-თ ლიუდმილა მეგრელიძესა და ნუცა ნარაკიძეს: ქართული თეატრის აშენების შესახებ ჩვენს წერილებში გამოთქმული აზრი, რომ თეატრის ამშენებელ კომიტეტს „აგურები“ გამოეცა, ჯერ საქმედ ვერა ქვეულა—„აგურები“ გამოცემული არაა და ამიტომ ვერც თქვენ გიგზავნით. ამ მიზნით ფულის შეკრება ჯერ კიდევ კერძო თაოსნობის საქმეა. თქვენც შეგიძლიანთ სიით ფული მოაგროვოთ და თეატრის საშენებლად შემდგარ კომიტეტის ხაზინადარს თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილს (დებუტატთა საკრებულოში) ან ჩვენს რედაქციას გამოუგზავნოთ, შემომწირველთა სიითურ, რომელთა ვინაობა გამოცხადდება.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

სახალხო სახლი

საშ.ბათს, 16 თებერვა ქართ. დრამ. საზ.ის დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება

მადამ-სანკენ

კომ. 4 მოქმ. თარგ. კ. მესხისა.
მონაწილეები: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ბ-ნი: ვ. გუნია, ვომელაური ხ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., მამფორია ი., მგალობლიშვილი დ., ყიფიძე ი. სარაული მ., ვარვარაძე ა. დგიღეზბის ფასი 25 კ. — 1 მან. 50 კ-დე.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე.
რეჟისორი ან დ რ თ წ ი ვ ა შ ვ ი ლ ი

სახალხო სახლი

კვირას 21 თებერვალს 1916 წ. დილით
ლ. ჩერქეზი შვილის მონაწილეობით

ბაიყუუი

ფარსი 2 მოქმედ. კავარლისა.
მონაწილეობენ: მარგველაშვილი, ბ.ბ. გოცი-რიძე, იშხნელი, ჯაბაური, რამაზაშვილი, და სხ.

კონსერვ. განყოფ.

მონაწილეობენ: ინაშვილი, ჯაჯანაშვილი, დიმიტრაშვილი, ჯაბადარი, გრიშაშვილი, ჩუ-ბინოვი და სხ.

დასაკრებელ ლექსური ცნობილ მოღვთა მო-წილეობით.

დასაწყისი დროით 12 საათზე.
ადგილების ფასი 2 მან. 40 კაპ.
რბილეთები იყიდება ძმურ ნუფეშშიაყ.
გამგე ჯავახიშვილისა რეჟისორი გოც...

განათლება

სამეცნიერო-მედიკალური და სპორტული უწყისი (წელიწადი შეესრულა).

წლიურად აღინაშნა 50 ტუფისა და 40 ხელის-მარტის უკეთესი კადასტრის მასწავლებლებს, სახალხო საშემსწავლებლებს, სწავლა სკოლების მოწოდებებს, სტუდენტებს, მუ-ჟუნადი დაუმთავრობებ 30.50კ.

ცალკე ნაშენი უწყისისა ედირება 50 კაპ. რედაქცია სთხოვს ხელის მომწოდებებს დროს დაიკეთონ უწყისი. მისამართი: Тифлисъ. Дворянская Грузин. Гимназия Л. Б. Ворпадзе. 1293 რედაქციაში მდ. ზ. ბოცვაძე.

ნაძალადვის თატრი

კვირას, 14 თებერვალს

თამარცხიერი

ისტ. დრ. აკაკისა

მონაწილეობენ: ქქ-ნი: ამირანაშვილი ნ. ინა-იდა, ქ. კაპაშვიძე; ბბ. ვ. ნინიძე გ. გელაქო-შავილი, კახინაშვილი, კუდუხოვი ამირანაშვილი, ძაძაშვილი, ლადაშვილი, კანტიტაძე, ხერხეული. ფასები 10 კ.-30 კ-დე დასაწყისი საღ. 8 საათზე რეჟის. ა. გოგაშვილი, გამ. ქობულაშვილი

სახაზინო თეატრი

კვირას, 14 თებერვალს გაიმართება.

შიო მღვიმელის

სადღესასწაულო დილა

სახალხო სახლი

დილით კვირას, 14 თებ 1916 წ. დილით
დღის 1 საათზე გაიმართება

- I ლექსები
- შრომის მიტოვებული - პოეტი იოსებ დავით-შვილი. წიკითხვას იასკა იმედაშვილი
- II უჩაღალი კაკო ბლაჭიაშვილი დრამატ. პოემა ილია ქავიშვილი
- III სცენები, ლექსები და ადგილების ფასი 10 კ. 60 კ-დე აფიშები. დაწერილია იოსებ ბირელი.

სახოგადოკლუბი
ხართ.პო. (ყოფილი აპოლო), № 129-131
(გა) კვირას, 14 თებერვალს
მონცერტი ბ. ვ. ლორთქიფანიძის მონაწი-ლეობით. შესვლა სტუმართათვის საზოგადო-წეს-თ. დასაწყისი მაღამოს 9 საათზე.

ჩვეულებრივ ეასწავლი
ქართულ სიგლარა-გალოგას
და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს
მუდმივ გუნდისათვის, რომლის მიწვევა
ეკლესიებში და კონცერტებზე, ახალ წვევების
მიღება-ჩაწერა იკითხეთ

მიხიბილ კავსაქმსთან
(სულდურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკო-ლის შენობაში. ორშაბათ., ოთხშაბათ დ-პარასკეობით საღამოს 6-9 ს.-დე). როგორც ახლებს, ისე ძველ ჩვენ გუნდის წევრთ ვთხოვ მობძანდნენ აღნიშნულ დღეებს.

ვასწავლი მუშა ხალხსაც.

სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატებით გაზეთი ღირს
წლ. 9 მ. 50 კ., ნახ. წლით 5 მ., სამი
თვ. 2 მ. 50 კ. თვით 90 კ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას, თხზულებას თანამედროვე სოციალ-
შოლიტიკურ კრავ. მდგომარ. შესახებ.
თხზულების დაწერაში მონ. იღებენ.

კ. აბაშიძე, ი. გედევანშვილი, გრ. გველესიანი,
გ. ლასხიშვილი, გ. მაიაშვილი, გ. რტყილაძე,
გ. ქიქოძე, ს. ფირცხალავი, თ. ლომონტი და ა.
ჯაჯანაშვილი.

მისამ.: თბილისი, „სახალხო ფურცლის“ რედ-
აქ., სასახლის ქუჩა, სარაჯიშვილის სახლი № 6.

„მეგობარი“

საპოლიტიკო, სალიტერ.,
სოციალდემოკრატიული გაზეთი

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლისთვის

წელიწადში ღირს 9 მან., ნახევარი წლით—5 მან.,
სამი თვით—2 მან. 3 აბაზი., თვეში—18 შაური,
ცალკე ნომერი ყველგან—შაურით.

წლიური ფასის შემოტ. შეიძლება ნაწილ ნაწილად:
ხელის მოწერის დროს—3 მან. ნახევარი, 1 აპრილს
3 მან., 1 აგვისტოს—2 მან. ნახევარი.

**ნახევარი წლის ხელის მომწერლებს შეუძლიათ ორ
ნაწილად შემოიტანონ ფული:** პირველად 3 მ., 1 აპ-
რილს—2 მან.

**წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიად
კ. მაიაშვილის ნაწარმების კრებულს.**

რედაქციისა და კანტორის მისამართი: ქუთაისი, ივა-
ნოვის ქუჩა, კილაძის სახლი.

მიიღება ხელის მწერა 1916 წ. სალიტერატურ-
ტურთ, საპოლიტიკო და საშეცნებო ფურცელ

„ცხოვრება“-ზე

რომელიც გამოვა ორ-
კვირაში ერთხელ **რო-**
მანოზ ფანცხავას რედაქტორობით. ფურცელში
საუკეთესო სალიტერატურო ძალები ითანამშრო-
მლებენ წლიურად: 5 მ., ნახევარი წლით 3 მ.,
სამი თვით 1 მ. 50 კ თვიურად 50 კ ფულის
გადახდა წაწილ ნაწილათც შეუძლიათ: ხელის
მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს—1 მ. და
პირველ ივნისს 1 მ.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:
Вутайсь, Роману Спирид. Панцхава.

თანამედროვე პერი

გაზეთი ღირს როგორც თფილისში ისე
პროვინციაში მთელი წლით 8 მან., ნახევარ
რი წლით 4 მან. 50 კ. ერთი თვით 90 კ.
გაზეთის ფასიხელის მომწ. წინდაწინ უნდა გადაიხ.
ნისიათ არავის გაეგზავნება.

ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შექმდეკი
ადრესით უნდა გამოიგზავნონ: **Тифлисъ, поч.**
ящ. № 199 Власію Малакіевичу Бохохадзе-
თფილისის ხელის მომ. ფული უნდა შემოიტა-
ნონ კანტორა „განათლებაში“ ოლგას ქუჩა № 6
მომავალ წლის მომწერლებს კანტორა უმორჩილენ-
ნად სთხოვს ფული 20 დეკემბრამდე შემოიტანონ.

„განათლება“

ფურცელ-გაზეთებს
კანტორა

ქ. თბილისში ოლგას ქუჩა № 6.
გზავნება ბებრებს: „თეატრი და ცხოვრ-
ება“, „თან. აზრი“, „რუს. მათემატიკა“, „საქარ-
თველო“, „Тифлисъскій Листокъ“, „Рус-
ское Слово“, „კორიზონი“, კედდის კალენდ-
ლები და სხ და სხ. ქართული წიგნები. ფული
რა წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ად-
რესით: **Тифлисъ, почтовый ящикъ № 96,**
С. Таварткиладзе.

გამართულია ხელის მოწერა

კიკნა-ფუხაველის

პოემებისა და რჩეული ლექსების კრებულზე,
რომელსაც დაერთვის სურათი, ბიოგრაფია და
დ. კანკაძის გრიტიკული წერილი. ხელის მო-
წერა შეიძლება ხვეწს რედაქციაში.

ნომრები „ბერძენი“

ახლად შეკეთებულა. საუცხოვოდ მოწყო-
ბილი, სუფთა, ელექტრონის სინთლით
ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძეგლთან
ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სამზა-
რეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და
ანნა). თბ. მიხ. პრ. № 5. ტელ. 13—14 (წ)

სცენის მოყვარე-მუშაკთა საყურადღებოდ:

И. Т. Полумордвиновъ.
Списокъ пьесъ
На грузинскомъ языкѣ,
разрѣш. нѣ представл. на сцен. Навк. Края. ц. 40 коп.
Тр. Цесъ Цензурный Комитетъ

Доавволено Военной Цензурой **სტამბა „სორაპანი“**